საიდ. №73494/03

IR 1169531

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №10-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, ა. დალაქიშვილი, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „გლუტოლინ რენოვიერუნგსპროდუქტე გმბჰ” (Glutolin Renovierungsprodukte GmbH) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №10-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 20 ოქტომბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №2750/03 ბრძანების ბათილად ცნობა, იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „GLUTOLIN” (საიდ. №73494/03 IR 1169531) უარი ეთქვა

დაცვის მინიჭებაზე პირველი კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭება საქართველოში პირველი კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „სამრეწველო დანიშნულების მწებავი ნივთიერებები წებოები ხელმარჯვე მოწყობილობებისათვის, წებოები კედლის, ჭერისა და იატაკის საფარისათვის, წებოები საიზოლაციო ფილებისათვის, შპალერის წებო, იატაკის საფარის ფიქსატორები, ფილტრები მინერალური საფუძვლის ან რეზინის საფუძვლის მქონე ფუნდამენტებისათვის, შპალერის მოსაცილებელი საშუალებები, ფასადის გასაჟღენთი საშუალებები“ (adhesives used in industry; adhesives for do-it-yourself supplies; adhesives for wall coverings, ceiling coverings and floor coverings; adhesives for insulating plates; wallpaper pastes; fixations for floor coverings (as far as included in this class); fillers for mineral-based foundations or resin-based foundations; wallpaper removing preparations; facade impregnating preparations).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 20 ოქტომბრის №2750/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "GLUTOLIN" მსგავსია კომპანიის "Raps GmbH & Co. KG" (მისამართი:1, Adalbert-Raps-Strasse, D-95326 Kulmbach; DE) სახელზე ,,საქპატენტში“ პირველი კლასის მსგავსი საქონლისათვის დაცული ნიშნისა "GLUTALIN" (IR 509984, რეგისტრაციის თარიღი: 05.02.1987; საერთაშორისო გავრცელების თარიღი: 15.05.1999). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაპირისპირებული ნიშნები წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. დაპირისპირებულ და სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური მსგავსება. ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, ვინაიდან ორივე მათგანი შედგება 8 - 8 ლათინური შრიფტით შესრულებული ასოსგან და მათ შორის განსხვავებულია მხოლოდ მე-5 ,,A'' და ,,O'' ასოები. დაპირისპირებული ნიშნები ასევე, მსგავსია ფონეტიკურად,

ვინაიდან რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც ,,გლუტალინი'', ხოლო განცხადებული ნიშანი, როგორც ,,გლუტოლინი''. დაპირისპირებულ ნიშნებს აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა და ვიზუალური მხარე, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ'' ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ნაწილობრივ უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე, კერძოდ პირველი კლასის საქონლის ნაწილში.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „გლუტოლინ რენოვიერუნგსპროდუქტე გმბჰ'' არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო საჩივარში მითითებულია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი დაცულია ისეთი ქიმიური პროდუქტებისათვის, რომლებიც განკუთვნილია საკვები პროდუქტებისათვის, ხოლო აპელანტის ნიშნის დაცვა კი მოითხოვება წებოებისათვის, რომლებიც განკუთვნილია იატაკის, ჭერის, კედლების საფარისათვის და შპალერისათვის. ნიშნებს შორის დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, აპელანტმა შეზღუდა პირველი კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალი, კერძოდ მან საქონლის ჩამონათვალიდან ამოიღო შემდეგი საქონელი: „სამრეწველო დანიშნულების ქიმიური ნაწარმი“ და საქონლის ჩამონათვალში დატოვა - „სამრეწველო დანიშნულების მწებავი ნივთიერებები წებოები ხელმარჯვე მოწყობილობებისათვის, წებოები კედლის, ჭერისა და იატაკის საფარისათვის, წებოები საიზოლაციო ფილებისათვის, შპალერის წებო, იატაკის საფარის ფიქსატორები, ფილტრები მინერალური საფუძვლის ან რეზინის საფუძვლის მქონე ფუნდამენტებისათვის, შპალერის მოსაცილებელი

საშუალებები, ფასადის გასაჟღენთი საშუალებები“. სააპელაციო საჩივარში ასევე, აღნიშნულია, რომ სახეზეა განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნის საქონლის მოხმარების განსხვავებული არეალი და მომხმარებელი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 20 ოქტომბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №2750/03 ბრძანების ბათილად ცნობას, იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „GLUTOLIN” (საიდ. №73494/03 IR 1169531) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე პირველი კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებას საქართველოში პირველი კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „სამრეწველო დანიშნულების მწებავი ნივთიერებები წებოები ხელმარჯვე მოწყობილობებისათვის, წებოები კედლის, ჭერისა და იატაკის საფარისათვის, წებოები საიზოლაციო ფილებისათვის, შპალერის წებო, იატაკის საფარის ფიქსატორები, ფილტრები მინერალური საფუძვლის ან რეზინის საფუძვლის მქონე ფუნდამენტებისათვის, შპალერის მოსაცილებელი საშუალებები, ფასადის გასაჟღენთი საშუალებები“ (adhesives used in industry; adhesives for do-it-yourself supplies; adhesives for wall coverings, ceiling coverings and floor coverings; adhesives for insulating plates; wallpaper pastes; fixations for floor coverings (as far as included in this class); fillers for mineral-based foundations or resin-based foundations; wallpaper removing preparations; facade impregnating preparations).

აპელანტი, რომელსაც კანონით დადგენილი წესით ეცნობა საქმის ზეპირი მოსმენის სხდომის დროისა და ადგილის შესახებ, სხდომაზე არ გამოცხადდა.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

კოლეგიას მიაჩნია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ამასთან, კოლეგია განმარტავს, რომ მართალია, დაპირისპირებული ნიშნები მსგავსია, მაგრამ „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლის არსებობის აუცილებელ წინაპირობას, ვიზუალურ, ფონეტიკურ და სემანტიკურ მსგავსებასთან ერთად, წარმოადგენს იმ საქონლის მსგავსება, რომლისთვისაც განცხადებულია სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები. ნიშნებს შორის მხოლოდ ვიზუალური, ფონეტიკური და სემანტიკური მსგავსება არ არის საკმარისი ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმისათვის, რადგან კანონის ზემოაღნიშნული ნორმა სავალდებულოდ მიიჩნევს დაპირისპირებული ნიშნების საქონლის მსგავსებას. იმ შემთხვევაში თუ დაპირისპირებული ნიშნების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი სხვადასხვაა, ნიშნების იდენტურობის შემთხვევაშიც კი არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული პროდუქციის მხოლოდ ერთი და იმავე კლასებში, კერძოდ პირველ კლასში არსებობა, თავისთავად არ გულისხმობს საქონლის მსგავსებას. სააპელაციო კოლეგიას მიაჩნია, რომ იმდენად განსხვავებულია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების პირველი კლასის საქონლის

ჩამონათვალი თავისი ბუნებითა და დანიშნულებით, რომ არ მოხდება ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. კერძოდ, განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება პირველი კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „სამრეწველო დანიშნულების მწებავი ნივთიერებები წებოები ხელმარჯვე მოწყობილობებისათვის, წებოები კედლის, ჭერისა და იატაკის საფარისათვის, წებოები საიზოლაციო ფილებისათვის, შპალერის წებო, იატაკის საფარის ფიქსატორები, ფილტრები მინერალური საფუძვლის ან რეზინის საფუძვლის მქონე ფუნდამენტებისათვის, შპალერის მოსაცილებელი საშუალებები, ფასადის გასაჟღენთი საშუალებები“ (adhesives used in industry; adhesives for do-it-yourself supplies; adhesives for wall coverings, ceiling coverings and floor coverings; adhesives for insulating plates; wallpaper pastes; fixations for floor coverings (as far as included in this class); fillers for mineral-based foundations or resin-based foundations; wallpaper removing preparations; facade impregnating preparations), ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი დაცულია პირველი კლასის შემდეგი საქონლის მიმართ: „საკვები პროდუქტების დამზადებაში ან დამუშავებაში გამოყენებული ქიმიური დანამატები, ამ ქიმიური დანამატებისაგან და/ან ბუნებრივი საშუალებებისაგან დამზადებული საშუალებები საკვები პროდუქტების დასამზადებლად ან დასამუშავებლად, სანელებლებით ან მათ გარეშე, სამრეწველო დანიშნულებით“ (Chemical additives for manufacturing or treating foodstuffs, preparations made from these chemical additives and/or of natural additives for manufacturing or treating foodstuffs, with or without spices, for industrial use).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „GLUTOLIN” (საიდ. №73494/03 IR 1169531) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „გლუტოლინ რენოვიერუნგსპროდუქტე გმბჰ” (Glutolin Renovierungsprodukte GmbH) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 20 ოქტომბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №2750/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „GLUTOLIN” (საიდ. №73494/03 IR 1169531) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე პირველი კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „GLUTOLIN” (საიდ. №73494/03 IR 1169531) მიენიჭოს დაცვა საქართველოში პირველი კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „სამრეწველო დანიშნულების მწებავი ნივთიერებები წებოები ხელმარჯვე მოწყობილობებისათვის, წებოები კედლის, ჭერისა და იატაკის საფარისათვის, წებოები საიზოლაციო ფილებისათვის, შპალერის წებო, იატაკის საფარის ფიქსატორები, ფილტრები მინერალური საფუძვლის ან რეზინის საფუძვლის მქონე ფუნდამენტებისათვის, შპალერის მოსაცილებელი საშუალებები, ფასადის გასაჟღენთი საშუალებები“ (adhesives used in industry;

adhesives for do-it-yourself supplies; adhesives for wall coverings, ceiling coverings and floor coverings; adhesives for insulating plates; wallpaper pastes; fixations for floor coverings (as far as included in this class); fillers for mineral-based foundations or resin-based foundations; wallpaper removing preparations; facade impregnating preparations).

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ნ. გოგილიძე
წევრები:	ი. გიქორაშვილი
	ა. დალაქიშვილი